ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ფდ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№ _____ 24 ივლისი 2014 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/183

2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის", ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 17 ივლისის სხდომის (ოქმი №37) დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი განისაზღვროს 21 კვირით (15 კვირა - სააუდიტორიო მუშაობისათვის);
2. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვროს 2014 წლის 25 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე;
3. სააუდიტორიო მეცადინეობები დაიწყოს 2014 წლის 15 სექტემბერს და გაგრძელდეს 2015 წლის 18 იანვრამდე;
4. საშობაო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2014 წლის 31 დეკემბრიდან 2015 წლის 8 იანვრამდე;
5. შუალედური გამოცდებისათვის (ყველა სასწავლო დისციპლინაში) დადგინდეს შემდეგი ვადები:
   5.1. პირველი შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-6 კვირაში (2014 წლის 20-25 ოქტომბერი);
   5.2. საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-7 კვირაში (2013 წლის 27 ოქტომბერი - 1 ნოემბერი);

5.3. მეორე შუალედური გამოცდა ჩატარდეს სემესტრის მე-11 კვირაში (2014 წლის 24 - 29 ნოემბერი);

5.4. საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი გამოცდა დაიგეგმოს მომდევნო, მე-12 კვირაში (2014 წლის 1 - 6 დეკემბერი);

6. დასკვნითი საგამოცდო სესია ჩატარდეს მე-18 – მე-20 კვირებში (2015 წლის 19 იანვარი - 7 თებერვალი);

7. 2014 – 2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დამატებითი გამოცდები ჩატარდეს 21-ე კვირაში (2015 წლის 18 - 23 თებერვალი);

8. საგაზაფხულო არდადეგების პერიოდი განისაზღვროს 2015 წლის 8 თებერვლიდან პირველ მარტამდე;

9. ყოველი გამოცდის დასრულებისთანავე გაფორმებული საგამოცდო უწყისები ჩაბარდეს დეკანატს და შეფასებები აისახოს საუნივერსიტეტო მონაცემთა ბაზაში;

10. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა (ბ-ნი ნ. პავლიაშვილი) და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურებს (ბ-ნი ე. კოპალიანი);

11. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ბუღალტერიას; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

12. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

13. ძალადაკარგულად გამოცხადდეს **„2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაგეგმვის შესახებ“** რექტორის 2014 წლის 16 ივნისის N02-02/170 ბრძანება;

14. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე